საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კერვალიშვილი ზურაბ იასონის ძე

კერვალიშვილი ზურაბ იასონის ძე (20. IX. 1934, სოფ. სორი, ახლანდ. ონის მუნიციპალიტეტი, – 12. V. 2017, თბილისი), ქიმიკოსი. საქართვ. საინჟინრო აკად. ნამდვ. წევრი (1988), საქართვ. სახელმწ. პრემიის ლაურეატი (1993), საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი. 1961 დაამთავრა სპი-ის ქიმ.-ტექნოლ. ფაკ-ტი ორგანული სინთეზის სპეციალობით და მუშაობა დაიწყო რუსთავის ქიმიურ კომბინატში. 1972–83 იყო მთ. ინჟინერი, 1983–92 – რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" გენ. დირექტორი. 1994-იდან „რიცეულაჰესის" (რაჭა) სამეთვალყურეო საბჭოს ხელმძღვანელობდა. სპეციალისტების ჯგუფთან ერთად სახელმწ. პრემია მიენიჭა რუსთავის საწარმოო გაერთიანება „აზოტის" კაპროლაქტამის წარმოებაში რესურსდამზოგავი და ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლ. პროცესების დამუშავებისა და დანერგვისათვის. 2001 აირჩიეს ქ. რუსთავის საპატიო მოქალაქედ.

კ-ის ხელშეწყობით მრავალმა ახალგაზრდამ ქ. რუსთავიდან მიიღო განათლება საზღვარგარეთ. მან თავისი სახსრებით აღადგინა სოფ. სორის გვიანდ. შუა საუკუნეების ჯვარცმის ერთნავიანი უგუმბათო ეკლესია, სოფლის მოშორებით მდებარე დანგრეული სალოცავები და კოშკები.

კ. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით (1976) და მრავალი მედლით.